საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2024 წლის 29 მარტი

ქ. საჩხერე

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №18 დადგენილებით დამტკიცებულ წესში (სსმ, ვებგვერდი – 05/04/2023 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.130.016472) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო მოხელე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6, 55^2, 55^6, 64^2, 77^1, 77^2, 82^5, 103-ე, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^4, 134^1, 146^1, 148-ე მუხლის პირველი, მეორე და მე-4 ნაწილით, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152, 152^2, 152^8, 153^4, 156^1, 158^5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 159^1,172^8, 172^9 და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

2. საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს აწარმოებს – „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 46^5, 46^6, 55^2, 55^6, 64^2, 77^1, 77^2, 82^5, 103-ე, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^4, 134^1, 146^1, 148-ე მუხლის პირველი, მეორე და მე-4 ნაწილებით, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152, 152^2, 152^8, 153^4, 156^1, 158^5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 159^1,172^8, 172^9 და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“;

ბ) მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირს, ვის მიმართაც შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი – საჯარიმო ქვითარი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 46^5, 46^6, 55^2, 55^6, 64^2, 77^1, 77^2, 82^5, 103-ე, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^4, 134^1, 146^1, 148-ე მუხლის პირველი, მეორე და მე-4 ნაწილებით, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილებით, 152, 152^2, 152^8, 153^4, 156^1, 158^5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 159^1,172^8, 172^9 მისი შედგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია გაასაჩივროს საჩხერის მუნიციპალიტეტის მერთან. ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, მისი შედგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.